

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების, თსუ-ს რექტორის 2020 წლის 24 დეკემბრის №252/01-01 ბრძანების, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის 11 იანვრის №55/28 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის №4/2021 დადგენილების საფუძველზე აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ო ქ მ ი

ქ. თბილისი

„18“ თებერვალი 2021 წ.

16 სთ : 00 წთ

სხდომას კომისიის ოთხი წევრიდან ესწრებოდა ოთხივე წევრი: პროფ. ალექსანდრე შენგელაია (კომისიის თავმჯდომარე), პროფ. არჩილ უგულავა, ასოც. პროფ. ამირან ბიბილაშვილი, ასოც. პროფ. ზაალ მაჭავარიანი (კომისიის მდივანი)

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრაზე გამოცხადებული ასოცირებული პროფესორის ბ კატეგორია ვაკანსიაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფ. ალექსანდრე შენგელიას შემაჯამებელი ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეულ ეტაპზე შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ I ეტაპზე შემოწმდა და შეფასდა საკონკურსო დოკუმენტაცია კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრის კონკურსანტის თამარ ჭელიძის მიერ წარმოდგენილ ანკეტაში, მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4)

კონკურსანტი თამარ ჭელიძის შეფასება:

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში (დადგენილების დანართი N3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (დადგენილების დანართი N4) მიხედვით.

შეფასების I კატეგორიაში კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორიაში მოცემული მონაცემების საფუძველზე კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატია, სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, ციტირების ინდექსი, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ა.შ.) კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების ნაშრომი. კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფცია ნათლად ასახავს მის სამეცნიერო ხედვას და მის უშუალო წვლილს სასწავლო სამეცნიერო პროცესების ხელშეწყობაში. გამოიკვეთა კონკურსანტის აქტივობა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობაში, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო სწავლების საფეხურზე.

შეფასების IV საფეხურზე (კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა, დამატებითი ინფორმაცია) ისეთი აქტივობების საფუძველზე, როგორცაა ბაკალავრებისა და მაგისტრანტების საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობა, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების ფლობა, კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

გასაუბრებაზე კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია და პროფესიონალიზმი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საკითხების ღრმა ხედვა. პროფესიული უნარ-ჩვევებით, მსჯელობისა და გადმოცემის უნარით, მეტყველების მანერით, საუნივერსიტეტო სტრუქტურების ცოდნით კონკურსანტი შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას და ღირსეული კანდიდატურაა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრაზე, ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრაზე გამოცხადებული ასოცირებული პროფესორის ბ კატეგორია ვაკანსიაზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კონკურსის პირველი და

მეორე ეტაპების შეჯამებით და ფარული ბიულეტენების დათვლის შედეგად კონკურსანტი თამარ ჭელიძე გამოვლინდეს გამარჯვებულად.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი საჯაროდ გამოქვეყნდეს და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი: 18.02.2021

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.



/ალექსანდრე შენგელია/

კომისიის წევრი, პროფ.



/არჩილ უგულავა/

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.



/ამირან ბიბილაშვილი/

კომისიის მდივანი ასოც. პროფ.



/ზაალ მაჭავარიანი/